ევროკავშირი
საქართველოსთვის

Youthpass

Youthpass-ის სტრატეგია

არაფორმალური და ინფორმალური განათლების პროცესის აღიარებისა და ვალიდაციის სტრატეგია ევროპის ახალგაზრდულ დარგში

Erasmus+
Enriching lives, opening minds.

EUROPEAN SOLIDARITY CORPS

SALTO TRAINING & COOPERATION

დამატებითი რესურსების მოძიება Youthpass-ის შესახებ:
→ www.youthpass.eu

შინაარსი

1	შესავალი	5
2	პოლიტიკური კონტექსტი	8
3	Youthpass სტრატეგიის ხედვები, მიზნები და ამოცანები	10
4	ზოგი ცნობა Youthpass-ის შესახებ	12
5	Youthpass -ის როლი და ბუნება 2027 წლისთვის	14
6	საქმიანობის სფეროები	16
7	Youthpass-ის, როგორც აღიარების ინსტრუმენტის, სამომავლო განვითარება	25
8	სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები	28
9	ინსტრუმენტები სტრატეგიის განხორციელებისათვის	30
10	განმახორციელებელი აქტორები	32
11	მართვა	34
12	მონიტორინგი, შეფასება და კვლევა	36
13	სტრატეგიის განვითარება და სამადლობელი	39

Youthpass

1 შესავალი

2021 წელი, როდესაც Youthpass სტრატეგია გამოქვეყნდა, ევროპის ახალგაზრდული სამუშაოს საზოგადოებას ახალი თაობის EU ახალგაზრდული პროგრამების მოლოდინში ხვდება, რომლებიც ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ მუშაკებს სწავლისა და ქმედებების უფრო მრავალფეროვან და ფართო შესაძლებლობებს სთავაზობენ. ამავდროულად, ეს წელი აღნიშნავს ევროპული ახალგაზრდული სამუშაოს დღის წესრიგისა და ბონის პროცესის დასაწყისს – კონცენტრირებულ ძალისხმევას ევროპის მასშტაბით, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდული სამუშაოს ხარისხის, აღიარებისა და ინოვაციის გაძლიერებას. და ბოლოს, 2021 წელი, ისევე როგორც მთელი საზოგადოება, Covid-19 პანდემიის ძლიერ გავლენას განიცდის.გარდა ამისა, ბოლო წლებში საზოგადოებები სწრაფად ვითარდებოდა, ისევე როგორც ახალგაზრდული სამუშაოს,

მოხალისეობის, განათლებისა და შრომის ბაზრის საკითხები. თუმცა, პანდემიამ დააჩქარა ბევრი ეს პროცესი და გარკვეულწილად შეარყია ახალგაზრდული სამუშაოს, მოხალისეობის და ამ სფეროებში ევროპულ თანამშრომლობასთან დაკავშირებული საფუძვლები და გარემოებები.

ჩვენს რთულ და სწრაფად ცვალებად დროში, **სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა კომპეტენციებსდა პირობებს, რომლებშიც ხდება მათი განვითარება**. მნიშვნელოვანია ავამაღლოთ არაფორმალური და ინფორმალური განათლების მნიშვნელობა ახალგაზრდულ სამუშაოებსა და მოხალისეობრივ საქმიანობაში. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ახალგაზრდულ სფეროში ჩართულ ადამიანებს ესმით საკუთარი გამოცდილების საგანმანათლებლო ღირებულება, და ისიც, რომ ეს საგანმანათლებლო ღირებულება დაკავშირებულია სხვა პროცესებთან ევროპულ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე, რომლებიც ამაღლებენ სხვადასხვა ადამიანების კომპეტენციების ხილვადობას და გამოყენებადობას, მიუხედავად იმისა თუ სად შეიძინეს მათ ეს კომპეტენციები. ევროპის უმეტეს ქვეყანაში არსებობს იმ ცოდნის ვალიდაციის სისტემები, რომელთა მიღებაც არაფორმალური და ინფორმალური განათლების კონტექსტში ხდება[1] თუმცა ყოველთვის ნათელი არ არის, რომ ახალგაზრდული საქმიანობის ფარგლებში განვითარებული კომპეტენციები ასევე კავშირშია ვალიდაციის სისტემებთან.

მიუხედავად ამისა, დროის ქარბორბალა გვაიძულებს **მივუბრუნდეთ იმ კომპეტენციებს, რომლებიც დღევანდელ სამყაროშია საჭირო, კერძოდ კი სწავლის უნართან მიბრუნებას**. ეს უნარი არის **კომპეტენციების უწყვეტი განვითარების გასაღები და ხელს უწყობს მათ სხვადასხვა კონტექსტში გადატანას**, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწრაფად ცვალებად სამყაროში.[2] სწავლის სწავლა იძენს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას პანდემიის ფონზე, რადგან სწავლის ტრადიციული მეთოდები და სწავლის მხარდაჭერა გამოწვევებით არის სავსე, ხოლო საკუთარი სწავლის მართვის ცოდნა სულ უფრო მოთხოვნადი ხდება.

Youthpass-ი ეს არის სერტიფიკატი და საგანმანათლებლო მიდგომა, ახალგაზრდული პროგრამების აქტივობებში მონაწილეებს ეხმარება, **უკეთ გაიაზრონ საკუთარი სწავლის პროცესი და განავითარონ სწავლის უნარები**. ეს არის აღიარებისა და ვალიდაციის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება მონაწილეებს შეძენილი კომპეტენციების დოკუმენტირებასა და შესაბამის კონტექსტებში წარდგენაში. გამომდინარე იქიდან, რომ დიდი ყურადღება ინდივიდუალურ მხარდაჭერასა და განვითარებას

[1] Commission Staff Working Document. → Evaluation of the Council Recommendation of 20 December 2012 on the Validation of Non-formal and Informal Learning.

[2] European Commission (2020). → LifeComp. The European Framework for Personal, Social and Learning to Learn Key Competence.

ეთმობა, **ის ადაპტირებულია ახალგაზრდული საქმიანობისა და მოხალისეობრივი კონტექსტების პირობებზე**. ამგვარად, Youthpass საკუთარი წვლილი შეაქვს მიმდინარე პრობლემების ფართო ჭრილში გადაწყვეტაში, ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ პროცესებში, და, ასევე, არაფორმალური და ინფორმალური განათლების ვალიდაციის პროცესებში. მას აქვს პოტენციალი, უფრო მეტად შეუწყოს ხელი ურთიერთქმედებებსა და მოახდინოს ძალისხმევის აქტივაცია ახალგაზრდული საქმიანობის სწავლის ასპექტების გასაძლიერებლად.

Youthpass სტრატეგია აღწერს, თუ როგორ შეუძლია Youthpass-ს საკუთარი ღირებულების შენარჩუნება და გაძლიერება ცვალებადი საჭიროებებისა და მისი სამიზნე ჯგუფების და ასევე ევროკავშირის 2021-2027 ახალგაზრდული პროგრამების პირობებში. გარდა ამისა, ის ხელს უწყობს იმგვარი პოლიტიკური პროცესების რეალიზებას, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდული საქმიანობის არაფორმალური და ინფორმალური განათლების ხარისხისა და შედეგიანობის გაუმჯობესებაზე ევროპაში.

აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი მიზნად ისახავს საფუძვლად SALTO ტრენინგებისა და თანამშრომლობის რესურს ცენტრის მუშაობას, რომელიც ევროკომისიისა და ევროკავშირის ახალგაზრდული პროგრამების ეროვნულ სააგენტოებთან თანამშრომლობით, ერთობლივად შეიმუშავებენ Youthpass-ს. ის ასევე მიზნად ისახავს, გახდეს ერთგვარი შთაგონების წყარო და სახელმძღვანელო იმ ორგანიზაციებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის, რომელთაც სურთ გაზარდონ ახალგაზრდული და მოხალისეობრივი სამუშაოებისას მიღებული ცოდნის ღირებულების შესახებ ცნობიერება და ხილვადობა მთელი ევროპის მასშტაბით.

2 პოლიტიკური კონტექსტი

Youthpass-ის სტრატეგია შემდეგი პოლიტიკის კონტექსტითაა განპირობებული:

- ევროკავშირის 2019-2027 წლების ახალგაზრდული სტრატეგია[3] ახალგაზრდული საქმიანობის ფარგლებში მოუწოდებს არაფორმალური და ინფორმალური განათლების უფრო ფართო აღიარებისკენ, ასევე მოუწოდებს მისი ხარისხის ინსტრუმენტების უფრო სისტემატური გამოყენებისა და სამომავლო განვითარებისკენ.

- Youthpass-ის სტრატეგია მიზნად ისახავს საკუთარი წვლილი შეიტანოს ევროპის ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების დღის წესრიგის[4] განხორციელებაში, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სტრატეგიულ ჩარჩოს ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობის ინოვაციური, ხარისხობრივი და აღიარების კუთხით. დღის წესრიგი, რომელიც უნდა განხორციელდეს ბონის პროცესის ფარგლებში, მიმართულია სტრატეგიისა და მოქმედებების სამომავლო განვითარებაზე, რომლებიც თავის მხრივ მიემართება ახალგაზრდულ სფეროში არსებული არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარებისა და ვალიდაციისკენ, და ასევე ახალგაზრდული საქმიანობის წვლილის აღიარება ახალგაზრდების გაძლიერებასა და მათი შესაძლებლობების გაფართოებაში.

[3] Resolution of the Council of the European Union and the Representatives of the Governments of the Member States meeting within the Council on a framework for European cooperation in the youth field:
→ The European Union Youth Strategy 2019-2027.

[4] Resolution of the Council and of the Representatives of the Governments of the Member States meeting within the Council on the Framework for
→ Establishing a European Youth Work Agenda.

[5] Conclusions of the Council and of the Representatives of the Governments of the Member States meeting within the Council on
→ Education and training of youth workers.

- საბჭოს დასკვნაში (2019)[5], რომელიც ახალგაზრდული მუშაკების განათლებასა და ტრენინგებს ეხება, ხაზგასმით არის ნახსენები ახალგაზრდული მუშაკების კომპეტენციების მრავალფეროვნების აღიარების აუცილებლობა და წევრ სახელმწიფოებს და კომისიას სთავაზობს აღიარონ არაფორმალური განათლება ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში.

- სტრატეგია დაკავშირებულია ევროპის უნარების დღის წესრიგთან 2012 წლის 20 დეკემბრის საბჭოს რეკომენდაციის შეფასების მეშვეობით, რომელიც არაფორმალური და ინფორმალური განათლების ვალიდაციას შეეხებოდა.[6] შეფასების შედეგად, სხვადასხვა ზომების გარდა შემოთავაზებულია მართვის გაუმჯობესება იმისათვის, რომ ევროპის გამჭვირვალობის ინსტრუმენტებმა, როგორიცაა Europass და Youthpass, შეძლონ საკუთარი როლის გაძლიერება ვალიდაციის პროცესში.[7]

- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებით[8] მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს მხარი დაუჭიროს ღირებულებების, მიდგომების, უნარების, ცოდნის და კრიტიკული გაგების აღიარებას, რომლებიც ახალგაზრდული საქმიანობის პროცესში მონაწილეობის შედეგად ფორმულირდა, და ასევე მოხდეს უფრო მეტად აქტიური მხარდაჭერა არსებული და მომავალი ევროპული ჩარჩოებისა და დღის წესრიგებისა, რომლებიც არაფორმალურ და ინფორმალურ განათლების აღიარებას [შე]ეხება.

Youthpass-ი ევროკავშირის ახალგაზრდული პროგრამების ნაწილია, ხარისხის საზომია, რომელიც ეხმარება საგანმანათლებლო ეფექტის ამაღლებას ამ პროგრამებში მონაწილეობის გზით. Erasmus+ და ევროპის სოლიდარობის კორპუსის 2021-2027 წლების პროგრამების სამართლებრივი საფუძვლები Youthpass-ში მოხსენიებულია, როგორც კავშირის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, და საზომი, რომელიც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის ამაღლებასა და კომპეტენციების განვითარების აღიარებას არაფორმალური და ინფორმალური განათლების კონტექსტში.[9/10] ის ახორციელებს ევროკავშირის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოს უწყვეტი განათლებისათვის (2018)[11] და ამით უერთდება ევროპის საგანმანათლებლო სივრცეს.[12]

[6] COUNCIL RECOMMENDATION of 20 December 2012 on the
→ Validation of non-formal and informal learning.

[7] European Commission (2020).
→ Study supporting the evaluation of the Council Recommendation of 20 December 2012 on the validation of non-formal and informal learning.

[8] Recommendation CM/Rec(2017)
→ 4 of the Committee of Ministers to member States on youth work.

[9] Regulation (EU) 2021/817 of the European Parliament and of the Council of 20 May 2021 establishing
→ Erasmus+: the Union Programme for education and training, youth and sport.

[10] Regulation (EU) 2021/888 of the European Parliament and of the Council of 20 May 2021 establishing
→ The European Solidarity Corps Programme.

[11] COUNCIL RECOMMENDATION of 22 May 2018 on
→ Key competences for lifelong learning.

[12] → European Education Area.

3

Youthpass სტრატეგიის ხედვები, მიზნები და ამოცანები

Youthpass-ის სტრატეგიის ძირითად ხედვას ახალგაზრდულ სფეროში განათლების ღირებულების და ასევე ახალგაზრდულ სფეროში ჩართულობის შედეგად განვითარებული კომპეტენციების ხილვადობის გაზრდა და მათი აღქმა/გაგება წარმოადგენს.

სტრატეგიის მიზანია ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული მუშაკების მხარდაჭერა ევროპის ახალგაზრდულ კონტექსტში განათლების გაზრდილი აღიარების გზით. ის მიმართულია ამ სფეროში მიღებული განათლების შედეგების მხარდაჭერასა და ფასილიტაციაზე, განსაკუთრებით იმ პროგრამების ფარგლებში, რომლებიც Erasmus+ და ევროპის სოლიდარობის კორპუსის ფარგლებში განხორციელდა.

.

მიზანი 1:

არაფორმალური და ინფორმალური განათლების ვალიდაციისა და აღიარების გაძლიერება Youthpass-ის, როგორც ევროკავშირის ახალგაზრდული პროგრამების ხარისხიანი ელემენტის, მეშვეობით.

მიზანი 2:

Youthpass-ის სამომავლო განვითარების მიმართულების განსაზღვრა, იმისათვის რომ მოხდეს ევროკავშირის ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში მიღებული განათლების უკეთესი აღიარების უზრუნველყოფა, ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული მუშაკების ცვალებადი საჭიროებებისათვის პასუხის გაცემა, **და ასევე საჭირო ზომების გამოკვეთა მათ აღსრულებაში მოსაყვანად.**

მიზანი 3:

ახალგაზრდული საქმიანობის საგანმანათლებლო ღირებულების ხილვადობისა და აღიარების გაზრდა, სწავლის/განათლების სრული სპექტრის გათვალისწინებით, რომელიც ახალგაზრდულ საქმიანობაში ხდება (ამასთან, როგორც ახალგაზრდები, ასევე ახალგაზრდა მუშაკები, ითვლებიან მოსწავლეებად რომლებიც მოიცავენ აღიარების ყველა ასპექტს ვალიდაციის სხვადასხვა ეტაპების გათვალისწინებით).

მიზანი 4:

Youthpass პროგრამის ფარგლებში მიღებული გამოცდილებების გათვალისწინებით, **შესაბამისი პოლიტიკის პროცესების ინფორმირება, შესაბამისი ახალგაზრდული (საქმიანობის) განვითარების მხარდაჭერა ევროპისა და წევრი სახელმწიფოების დონეზე, და ასევე, სისტემური ძალისხმევა** რათა მოხდეს განათლების/სწავლის აღიარებისა და ვალიდაციის მხარდაჭერა.

4

ზოგი ცნობა Youthpass-ის შესახებ

Youthpass-ი არის ევროპული აღიარების ინსტრუმენტი, რომელიც მიმართულია იმ სწავლის შედეგების გამოვლენასა და დოკუმენტირებაზე, რომელთა მიღებაც Erasmus+ და ევროპის სოლიდარობის კორპუსის ფარგლებში განხორციელებულ პროგრამებში მონაწილეობის მიღებისას მოხდა. Youthpass-ი აძლიერებს ინდივიდუალურ რეფლექსიებსა და ცნობიერებას განათლების შესახებ, იმისათვის, რომ სწავლის შედეგები ხილული იყოს როგორც მოსწავლისათვის, ასევე სხვა ადამიანებისათვის. ის მიმართულია ახალგაზრდულ საქმიანობაში რეფლექსიურ პრაქტიკასა და სოლიდარობის აქტივობებზე, და ამით ამაღლებს მათ ხარისხსა და აღიარებას. ის ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული მუშაკების განვითარებას და ამაღლებს ცნობიერებას ევროპული ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ.

Youthpass სერტიფიკატების გაცემა 2007 წელს დაიწყო და **2021 წლის ივნისის მონაცემებით უკვე 1,1 მლნ-ჯერ გაიცა**. მისი დაარსების დღიდან, Youthpass ხელმისაწვდომი იყო ევროკავშირის „Youth in Action" და Erasmus+ ახალგაზრდული პროგრამების მონაწილეებისათვის, ხოლო 2019 წელს გაფართოვდა და ახლად შექმნილი ევროპის სოლიდარობის კორპუსშიც ჩაერთო. Youthpass სერტიფიკატი ჩაშენებულია მიზანმიმართულ პროცესში, რომელიც ეხმარება სწავლის დღის წესრიგში დაყენებას და სწავლის პროცესისა და შედეგების გააზრებას. ეს არის მოხალისეობრივი ინსტრუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია ამ პროგრამების ყველა მონაწილისათვის, როგორც ახალგაზრდების ასევე ახალგაზრდული მუშაკებისათვის.

2013 წლის Youthpass-ის გავლენის შესახებ კვლევამ[13] აჩვენა, **რომ Youthpass-ის ძირითადი ღირებულება მხარდაჭერილ პროექტებში სწავლისადმი გაზრდილ ყურადღებასა და მონაწილეებისათვის ცნობიერების ამაღლებაში მდგომარეობს** - სწავლის ზოგადად და მათი პირადი სწავლის შედეგების პროცესის შესახებ. Erasmus+ ახალგაზრდული პროექტების 2020 წლის RAY მონიტორინგის კვლევამ[14] დაადასტურა რომ Youthpass-ის კონტექსტში სწავლასა და საკუთარი თავის შეფასების შესახებ რეფლექსია მონაწილეებს ეხმარება საკუთარი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. გამოკითხვის თანახმად Youthpass-ის მფლობელთა უმრავლესობამ, რომლებმაც Youthpass-ი სამსახურში მიღებისას, სტაჟირების ან სამომავლო განათლებისთვის გამოიყენეს, განაცხადეს, რომ ის ამ კუთხით სასარგებლო იყო. მაშასადამე, პროექტებში, სადაც Youthpass და რეფლექსია გამოიყენება ის განიხილება როგორს ღირებული ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს პროექტების ხარისხისა და შედეგიანობის ამაღლებას, მონაწილეების მიერ ახალშეძენილი კომპეტენციების გაუმჯობესებული ცნობიერებისა და აღწერის გაფართოებული შესაძლებლობების ხარჯზე.

[13] Kloosterman, P., Taru, M., (2013) → Youthpass Impact Study. Young people's personal development and employability and the recognition of youth work.

[14] Böhler, J., et al, (2020). → Research Report. RAY-MON. Effect and outcomes of the Erasmus+ Youth in Action programme. Transnational Analysis.

5

Youthpass -ის როლი და ბუნება 2027 წლისთვის

შემდეგი საკვანძო სიტყვები აღწერენ თუ როგორ წარმოგვიდგენია Youthpass-ის კონცეფცია წელს.

ჰოლისტიკური:

Youthpass-ის კონცეფციამ უნდა გააგრძელოს შემდეგი სამი ძირითადი ელემენტის მოცვა: აღიარების ინსტრუმენტი; პროცესი; და სტრატეგიული მოქმედება; თითოეული ეს ელემენტი აძლიერებს ერთმანეთს. ყოველი მათგანი გაძლიერდება და განვითარდება სამომავლოდ.

ჩარჩოების დადგენა:

Youthpass-თან, როგორც სტრატეგიულ ჩარჩოსთან მუშაობა იქნება მომავალზე ორიენტირებული. ის მკაფიოდ იქნება დაკავშირებული იმ პოლიტიკის პროცესებთან, რომლებიც ხელს უწყობენ ევროპის ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებას. ის შეასრულებს დამხმარეროლსსინერგიისშექმნასადადაინტერესებულმხარეებისა და ინიციატივების დაკავშირებაში, რომლებიც ვალიდაციისა და აღიარების საკითხებს და საზოგადოების პრაქტიკის ფარგლებში შესაძლებლობის გაზრდას უწყობს ხელს.

კონცეპტუალური:

Youthpass-ი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ახალგაზრდულ სფეროში განათლების შესწავლას, კონცეპტუალიზაციასა და მის გამოყოფაზე, მისი მთელი მრავალფეროვნების ჩათვლით. Youthpass-ის გარშემო მუშაობა, მოიცავს დებატებისა და ახალგაზრდულ საქმიანობაში სწავლის შესახებ მტკიცებულებების შეგროვების მხარდაჭერას. არაფორმალური განათლების გარდა, Youthpass-თან კონცეპტუალური მუშაობა ასევე ჩართავს ახალგაზრდულ საქმიანობაში ინფორმალური განათლების აღიარებასა და მისი როლის გაძლიერებას.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული:

Youthpass სტრატეგიისა და ინსტრუმენტის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები უზრუნველყოფენ მათი სამიზნე ჯგუფების საჭიროებებთან შესაბამისობაში ყოფნას და ექვემდებარებიან დაკორექტირებას ნებისმიერი ახლად გაჩენილი საჭიროებების შემთხვევაში.

მიზანმიმართულობა:

Youthpass-ის გადაწყვეტები, შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს სამიზნე ჯგუფებისა და კონტექსტის სპეციფიკურ საჭიროებებს. ეს მოიცავს შესაძლო ინფორმაციისა და ხელმძღვანელობის მოთხოვნას, ასევე ახალგაზრდულ პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანას. ასევე აუცილებელია იმის უზრუნველყოფაც, რომ Youthpass-ი შესაბამისობაში იყოს ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართული პრაქტიკოსების დიდი ჯგუფის აღიარების საჭიროებასთან.

ინსპირაციული:

Youthpass-ის კონცეფცია, პრინციპები და ინსტრუმენტი, შესაძლოა შთაგონების წყაროდ იქცეს ახალგაზრდულ სფეროში აღიარების შემდგომი პრაქტიკისთვის. მანშეიძლებაუბიძგოსისეთიდისკუსიების დაწყებას, როგორებიცაა არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარებისა და ვალიდაციის საკითხი ახალგაზრდულ საქმიანობასა და მოხალისეობრივ საქმიანობაში, აღიარების ჩარჩოების ეროვნულ დონეზე შემუშავება, და ასევე ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკის ხარისხისა და სწავლის დოკუმენტირება.

თანამშრომლობაზე დაფუძნებული:

Youthpass-ის განხორციელება და აღიარების სტრატეგიული ზომების განვითარება ეფუძნება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობასა და დიალოგს, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროპაში ახალგაზრდული პოლიტიკის ჩამოყალიბების სექტორთშორის კვეთის საფუძვლებს.

ეფუძნება:

ინფორმაცია და კომუნიკაცია უზრუნველყოფენ ახალგაზრდულ საქმიანობაში სწავლის როლის და Youthpass-ის ღირებულებების შესახებ ფართო ცნობადობას და კარგად გაგებას. Youthpass-ის ინსტრუმენტების კონცეპტუალური, ხარისხობრივი და რაოდენობრივი განვითარება, და ასევე გაძლიერებული მართვა, გამოიწვევს ინსტრუმენტის დაბალანსებულ დანერგვას საქმიანობის სხვადასხვა სახეობებში, სამიზნე ჯგუფებსა და ასევე სხვადასხვა ქვეყნებშიც.

6 საქმიანობის სფეროები

Youthpass-ის სტრატეგიაში საქმიანობის სამი სფეროა წარმოდგენილი. ისინი აღწერენ ამ სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო ზომებს, და ამავე დროს გვეხმარებიან 2027 წლის Youthpass-ის როლისა და მახასიათებლების ჩამოყალიბებაში, ისე, როგორც ზედა თავშია განხილული.

1

Youthpass-ის დანერგვა და შემდგომი განვითარება:

Youthpass-ის, როგორც კავშირის [იგულისხმება ევროკავშირი] გამჭვირვალობის ინსტრუმენტად შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს არაფორმალური და ინფორმალური განათლების შედეგების გამოვლენასა და დოკუმენტირებას Erasmus+ და ევროპის სოლიდარობის კორპუსის ყველა პროგრამის ფარგლებში.

2

სწავლა და აღიარება:

განათლებისა და აღიარების პრაქტიკების განვითარება ახალგაზრდულ სფეროსა და ახალგაზრდულ საქმიანობაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მეშვეობით. ეს იქნება ერთგვარი სტიმულის მიმცემი ინოვაციური მოქმედებებისთვის, ამ საქმიანობის ხარისხისა და შედეგიანობის ასამაღლებლად.

3

პოლიტიკის მხარდაჭერა:

ახალგაზრდულ სფეროში არაფორომალური და ინფორმალური განათლებისაღიარებისადავალიდაციისსისტემისადაპოლიტიკის დანერგვის გაძლიერება, მხარდაჭერა და ინფორმირება. ასევე ორმხრივი სწავლებისათვის შესაძლებლობების შექმნა და სისტემურ გადაჭრებზე გამოცდილებების გაზიარება, რომელიც ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობის ღირებულებას ზრდის.



შენიშვნა სამი სფეროს ურთიერთკავშირთან დაკავშირებით: **პირველი მიმართულება** „დანერგვა და შემდგომი განვითარება“ სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს. **მეორე მიმართულება** Youthpass-ს, როგორც ახალგაზრდული სფეროში განათლების გაძლიერების სასარგებლო მოდელი გვევლინება და მიზნად მისი ხარისხის ზრდას ისახავს. სწორედ ამიტომ, ის მოცემული სტრატეგიის მეორე პრიორიტეტად განიხილება. **მესამე მიმართულება**, , რომელიც მიზნად ისახავს სისტემებისა და პოლიტიკის მხარდაჭერას, მნიშვნელოვანია ორმხრივი ურთიერთსასარგებლო კავშირის დასამყარებლად პოლიტიკასა და პრაქტიკას შორის, და მოიაზრება როგორც მესამე პრიორიტეტი. სამივე მიმართულება ერთმანეთს ავსებს და აძლიერებს, ისინი ასევე აძლიერებენ როგორც საქმიანობის მიმართულებებს ასევე კონკრეტულ ზომებს ამ მიმართულების ფარგლებში.

1

საქმიანობის მიმართულება 1:

Youthpass-ის დანერგვა და შემდგომი განვითარება

აღნიშნული საქმიანობის მიმართულება აერთიანებს ზომებს, რომლებიც აუცილებელია Youthpass-ის, როგორც კავშირის გამჭვირვალობის ინსტრუმენტად შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს არაფორმალური და ინფორმალური განათლების შედეგების გამოვლენასა და დოკუმენტირებას Erasmus+ და ევროპის სოლიდარობის კორპუსის ყველა პროგრამის ფარგლებში.

- Youthpass-ის კონცეფციისა და ინსტრუმენტის შემუშავება, როგორც „Youthpass-ის, როგორც აღიარების ინსტრუმენტის, სამომავლო განვითარება“ თავშია მოყვანილი. აღნიშნულ კონტექსტში მოქნილობა ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო სიტყვაა, გამომდინარე იქიდან, თუ რამდენად მრავალფეროვანია სხვადასხვა აქტორის და სამიზნე ჯგუფის მიმდინარე ახალშექმნილი საჭიროებები, რომლებიც ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკოსთა თემში და ევროპის პროგრამების ფარგლებში წარმოიშვა.

- კომუნიკაციის და საინფორმაციო ზომები, რომლებიც მიმართულია განათლებისა და რეფლექსიის შესახებ, როგორც ახალგაზრდული საქმიანობისა და ევროკავშირის პროგრამების ფარგლებში მიმდინარე საქმიანობების ცნობიერების ამაღლებაზე. აღნიშნული ზომები დაეფუძნება სტრატეგიული კომუნიკაციის კონცეფციას Youthpass-ისათვის და მასში სხვა დანარჩენთან ერთად, შევა, პრაქტიკოსების თემთან მუშაობა და ინსპირაციული მაგალითების გავრცელება. ასევე მიმართული იქნება ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლებაზე ვალიდაციის სარგებელთან დაკავშირებით ძირითად საქმიანობაზე ხილვადობისა და გავლენის კუთხით.



- დამხმარე საგანმანათლებლო მასალები, რომლებიც ბენეფიციარებს მონაწილეებისათვის Youthpass-ის არსის ახსნაში დაეხმარება და თანამეგზურობას გაუწევს მათი პროექტების რეალიზების სხვადასხვა ეტაპებზე. ეს მოიცავს იმის აღწერასაც, თუ რას ნიშნავს Youthpass-ის პროცესი, და ასევე ბენეფიციარებისათვის ინფორმაციისა და მხარდაჭერის მიწოდებას, რათა მათ შეძლონ სწავლაზე რეფლექსიისა და მისი დოკუმენტირების მომზადება, რეალიზება და მონიტორინგი. დამხმარე მასალები გაითვალისწინებენ სხვადასხვა პირების საჭიროებებს შორის არსებულ განსხვავებებს, რომლებიც ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკოსებში, მაგალითად ახალგაზრდულ მუშაკებში, ტრენერებში, მენტორებში, ქოუჩებში და ა.შ. გვხვდება.

- მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული მუშაკები და მათი განათლების ფასილიტაციის კომპეტენციები ნებისმიერი პროექტის ხარისხის საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს, უნდა მოხდეს ინფორმაციის გავრცელება, რომელიც უშუალოდ ახალგაზრდებზე იქნება მიმართული, განსაკუთრებით იმ აქტივობების აღიარებასა და ვალიდაციასთან მიმართებაში, რომლებშიც მონაწილეების მხარდაჭერას არ ახორციელებენ ახალგაზრდული მუშაკები. მსგავსი მიზანმიმართული ინფორმაცია დაეხმარება ახალგაზრდებს აქტიურად აღწერონ საკუთარი სწავლის შედეგები, შესაბამისად საკუთარი თავისთვის გაზარდონ Youthpass-ის პროცესის საგანმანათლებლო ღირებულება. მსგავს ხელმძღვანელობას, ასევე შეუძლია ახალგაზრდების დახმარება საკუთარი რეფლექსიები გამოიყენონ სამომავლო საგანმანათლებლო ან კარიერული საქმიანობისთვის.

- სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების შემუშავება ახალგაზრდული მუშაკების, ტრენერების და სხვა, ახალგაზრდულ პროგრამებში ჩართული ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკოსების ცოდნის აღიარებისა და ვალიდაციისათვის. იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ახალგაზრდული მუშაკების ფართო სამიზნე აუდიტორიის საჭიროებები მათი კომპეტენციების განვითარების აღიარებასთან მიმართებაში, Youthpass-ის კონცეფციამ სავარაუდოდ უნდა მოიცვას სხვადასხვა დამატებითი ელემენტები, რომლებიც საგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებს სცდება, და ფინანსდება ევროპის ორი ახალგაზრდული პროგრამის მეშვეობით.

- Youthpass-ის სტრატეგიული სწავლების მიდგომებზე დაფუძნებული მიზანმიმართული სწავლის ზომების მიზნობრივი შემუშავება და რეალიზაცია. განათლების ზომების შემუშავებისას, მნიშვნელოვანია უზრუნველყოთ მათი თავსებადობა ევროპის განათლების სტრატეგიასთან, კერძოდ, კომპეტენციების მოდელებთან, რომლებიც ახალგაზრდული მუშაკებისა და ტრენერებისთვისაა განკუთვნილი. ასევე, მნიშვნელოვანია Youthpass პროცესის განხორციელების მხარდაჭერა სხვა სასწავლო ღონისძიებებში, რომლებსაც ეროვნული სააგენტოების ქსელი ახორციელებს. იმისათვის, რომ მოხდეს Youthpass-ის დანერგვა მსგავს საგანმანათლებლო ღონისძიებებში, როგორც ეროვნულ, ასევე ევროპულ დონეზე, მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფი იყოს ტრენერების საზოგადოება.

- Erasmus+ და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამებთან ეროვნული სააგენტოების ქსელთან, SALTO RC-სთან თანამშრომლობა. Youthpass-ის, როგორც ხარისხის მატარებელი პროექტის დანერგვა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნული სააგენტოების ქსელისგან ცნობიერების ქონასა და მხარდაჭერის არსებობაზე. სააგენტოებში, ზოგიერთ კოლეგას, უკვე აქვს კონკრეტული როლი Youthpas-ის განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად და საკუთარ ქვეყნებში მისი აღიარების მხარდასაჭერად (იხ. პარაგრაფი „Youthpass-ის თანამშრომლები" ქვეთავში „მართვა"). თუმცა მნიშვნელოვანია დამატებითი სამუშაოების შესრულება, იმისათვის რომ ცნობიერების ამაღლება მთელი ეროვნული სააგენტოების ქსელის მასშტაბით მოხდეს ახალგაზრდული პროექტების სასწავლო ღირებულებასთან დაკავშირებით და მათგან აქტიური მხარდაჭერის მოპოვება მოხდეს Youthpass-ის, როგორც სექტორთშორისი საკითხის დახმარებით, მიღებული განათლების აღიარებასა და ვალიდაციაში. ამისათვის აუცილებელია კავშირების გაძლიერება ეროვნული სააგენტოს კოლეგებთან და მათი მხარდაჭერა მოხდეს SALTO T&C მხრიდან. აუცილებელი მხარდაჭერა გამოიხატება ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიწოდებაში, მასალების მომზადებაში, რომელთა რედაქტირებასაც ეროვნული სააგენტოები საჭიროებისამებრ შეძლებენ და გაავრცელებენ, გაცვლითი პროგრამებისა და ტრენინგების რეგულარულ შესაძლებლობებში, სწავლასთან და Youthpass-თან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში და გამავრცელებლებისა და ეროვნული სააგენტოების სხვა ქსელების მეშვეობით და ასევე ერთობლივი თანაშექმნითი პროცესების ჩართვასა და კონსულტირებაში.

2

საქმიანობის მიმართულება 2:

სწავლა და აღიარება

საქმიანობის ეს მიმართულება მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებასა და ახალგაზრდული საქმიანობის ღირებულების აღიარებას, კერძოდ ახალგაზრდული საქმიანობის ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდით. შემოთავაზებული ზომების მოცულობა სცდება ევროპის ახალგაზრდული პროგრამების ჩარჩოებს და ცდილობს სინერგიის პოვნას ახალგაზრდულ და მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართული პრაქტიკოსების თემის მეშვეობით.

- ზომები სწავლის ახსნისა და შესწავლის, კომპეტენციების განვითარებისა და ევროპაში, ახალგაზრდულ საქმიანობაში აღიარების შესახებ, განსაკუთრებული აქცენტით არაფორმალურ და ინფორმალურ გარემოში მიღებულ განათლებაზე. რაც ნიშნავს მტკიცებულებების შექმნას, დისკუსიების დაწყებას, ორმხრივი სწავლების მხარდაჭერას, და ახალგაზრდული საქმიანობის განათლებისა და სწავლის ღირებულების შესახებ ზოგადი ცნობადობის და ცნობიერების ამაღლებას.

- სხვადასხვა ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართული პრაქტიკოსის, როგორც სწავლის ფასილიტატორების, ასევე ორგანიზაციების, რომლებიც ახალგაზრდული საქმიანობის სასწავლოს ღირებულებას ზრდიან, ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების გაზრდა. მოდელისთვის ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ Youthpass-ის პროცესი. ეს ზომები მოიცავს Youthpass-ის ტიპის მეთოდოლოგიების გამოყენების შესწავლისა და განხილვის შესაძლებლობებს ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკაში; ტრენინგები და საინფორმაციო მასალები, ასევე სხვა შესაძლო ინდივიდუალური ინსტრუმენტები.

- ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკოსთა თემში აღიარებისა და ვალიდაციის სხვადასხვა ეტაპებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, განსაკუთრებით სტრატეგიული ინიციატივების, როგორიცაა Erasmus+ დაფინანსებული პროგრამები, მხარდაჭერის შეთავაზება და პროცესებსა და ინიციატივებს შორის თანამშრომლობის და სინერგიის ხელშეწყობა. მსგავს თანამშრომლობას შეუძლია ხარისხის გაუმჯობესება ურთიერთსწავლის მეშვეობით , ხოლო ევროკომისიასთან თანამშრომლობით, იმ მოქმედებების კოორდინაციის გზით, რომლებიც მიმართულია პროცესებისა და პრაქტიკების მხარდაჭერაზე, რომლებიც თავის მხრივ ინიცირებულია ახალგაზრდულ სფეროში უკეთესი ხილვადობისა და გავლენის შესაძენად და რელევანტურ პოლიტიკურ პროცესებში წვლილის შესატანად. საწყის ზომებს მსგავსი ინიციატივების ცნობიერების ასამაღლებლად და არსებული გამოწვევების განსახილველად, შესაძლოა მოჰყვეს მხარდაჭერისა და თანამშრომლობის სივრცეები, მაგალითად თემატური გაცვლები.

- ახალგაზრდული საქმიანობის აღიარება, ხარისხი და ინოვაცია ევროპის დღის წესრიგში მოწინავე ადგილებს იკავებს. ევროპაში უკვე უამრავი პრაქტიკა არსებობს, რომელიც მიმართულია ახალგაზრდულ სფეროში სწავლისა და განათლების ვალიდაციაზე; Youthpass-თან დაკავშირებულ საქმიანობას, შეუძლია ხელი შეუწყოს და შთააგონოს ხარისხიანი მიდგომები, პროცესები და ინსტრუმენტები, რომლებსაც საერთო მიზანი აქვთ - ახალგაზრდულ სფეროში ცნობიერების ამაღლება და სწავლის გავლენის გაძლიერება. არ იქნება ურიგო, შესაბამისი ზომების მიღების შესაძლებლობა, მაგალითად რაიმე ნიშნის მიღება, იმისათვის რომ მოხდეს მსგავსი მიდგომების მიმართ ცნობიერების ამაღლება და ნდობის მოპოვება, ისევე როგორც ამ მიდგომების ხარისხის სამომავლო მხარდაჭერა.

3

საქმიანობის მიმართულება 3:

პოლიტიკის მხარდაჭერა

აღნიშნული საქმიანობის სფეროს მიზანია პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა იმ სფეროებში, რომლებიც კავშირშია ახალგაზრდული საქმიანობის სწავლის ღირებულებასთან და აღიარებასა და ვალიდაციასთან. ასევე, ახალგაზრდული საქმიანობის როლის, განსაკუთრებით Youthpass-ის ხელშეწყობა მსგავსი განვითარების პროცესისას. აღნიშნული საქმიანობის მიმართულება, მოითხოვს სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის აქტიურ თანამშრომლობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა, ვინც ჩართულია არაფორმალური და ინფორმალური განათლების ვალიდაციის კუთხით.

- Youthpass-ის განხორციელებიდან მიღებული გაკვეთილები და არაფორმალური და ინფორმალური სწავლის აღიარება და დადასტურება. Youthpass-ის განხორციელებისა და ევროკავშირის ორი ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში არაფორმალური და არაოფიციალური სწავლის აღიარებისა და დადასტურების პროცესიდან მიღებული გამოცდილება, განსაკუთრებით მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში მიმდინარე სწავლისა და ამ კონტექსტებში აღიარებისა და დადასტურების პრაქტიკის ეფექტების შესახებ მტკიცებულებები, აუცილებელია შესაბამისი არხების მეშვეობით გავრცელდეს. ეს ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი ისეთ ფორმატში, რომელიც პოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარებას სხვადასხვა დონეზე შეუწყობს ხელს.ასევე, შესაძლებელია შემუშავდეს საბაზისო გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები ახალგაზრდულ სფეროში დადასტურების პროცედურების გასაუმჯობესებლად.

- აუცილებელია სინერგიის ძებნა ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგიისა და ევროპის ახალგაზრდული საქმიანობის დღის წესრიგის განხორციელებასთან მიმართებით. მომავალი ეროვნული მოქმედებების დამგეგმავები [FNAP's] რომლებიც დაკავშირებულნი არიან ევროკავშირის ახალგაზრდულ სტრატეგიასთან, გვთავაზობენ ეროვნულ დონეზე სისტემური ცვლილებებისა და

პრიორიტეტის შესახებ წარმოდგენას, ეს იქნება მნიშვნელოვანი საფუძველი სინერგიებისა და პოტენციური თანამშრომლობის აღმოსაჩენად. ასევე აუცილებელია სინერგიის სხვა სტრატეგიებით შევსება, რომლებიც შემუშავებულია ევროკავშირის ახალგაზრდული პროგრამების - ევროპის ტრენინგ სტრატეგიის, ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნების სტრატეგიის და ახალგაზრდების მონაწილეობრივი სტრატეგიის ფარგლებში.

- Youthpass-ის განვითარებამ და ეროვნული სააგენტოებისთვის გაწეული მხარდაჭერამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ახალგაზრდულ სფეროს შესაბამისი პოლიტიკის დისკუსიებში და სისტემურ განვითარებაში მონაწილეობას.

- ამ პროცესებს შეუძლია შთაგონება, განვითარება და მხარდაჭერა გაუწიოს პოლიტიკის გადაწყვეტილებების განხორციელებასა და ეროვნულ და ევროპულ დონეზე ურთიერთსწავლის აქტივობების შედეგებს.

- პრაქტიკოსთა თემის წვლილი პოლიტიკის პროცესებში, რომლებიც მიემართება აღიარებასა და ვალიდაციას, უნდა გაძლიერდეს კოორდინირებული მიდგომის ხარჯზე. მუდმივი თანამშრომლობისა და გამოცდილების გაცვლის ხარჯზე, ისევე როგორც მოხალისეების მიმართულებასთან ურთიერთქმედების და სხვა შესაბამისი მიმართულებების ხარჯზე, ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართულმა ორგანიზაციებმა და აქტორებმა შესაძლოა საკუთარი საქმიანობის ხასიათი მეტად ხილვადი გახადონ, უფრო ეფექტურად ახსნან მისი არსი და იყვნენ უფრო ერთიანნი, სახელმწიფო წარმომადგენლებთან ან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისას.

- Youthpass კომუნიკაცია ასევე მოიცავს ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართული თემის ფართო საზოგადოების ინფორმირებას ევროპის პოლიტიკის განვითარებაზე, რომელიც ფოკუსირებულია აღიარებასა და ვალიდაციაზე და ასევე ინფორმირებული პრაქტიკისა და პოლიტიკის შემდგომი განვითარების მხარდაჭერაზე. ის ასევე მოიცავს ინფორმაციის შეგროვებასა და წარდგენას ახალგაზრდული საქმიანობის არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარებისა და ვალიდაციის მდგომარეობის შესახებ ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე პოლიტიკური მოღვაწეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

7

Youthpass-ის, როგორც აღიარების ინსტრუმენტის, სამომავლო განვითარება

იმისათვის, რომ Youthpass-მა, როგორც აღიარების ინსტრუმენტმა ხელი შეუწყოს სტრატეგიის ზემოაღნიშნული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას, აუცილებელია მისი ძირითადი ღირებულების გამყარება და განვითარების გაგრძელება, როგორც კონცეპტუალური, ასევე ტექნიკური მიმართულებით. Youthpass-მა უნდა შეინარჩუნოს თავისი, როგორც ევროპული აღიარების ინსტრუმენტის, როლი, რომელიც გაცნობიერებული რეფლექსიის პროცესს ახალისებს, გამოყოფს და აძლიერებს ღონისძიებების საგანმანათლებლო ღირებულებას, რომლებიც ევროკავშირის ორი ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. Youthpass-ს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ყველა ამ სხვადასხვა ტიპის საქმიანობის მხარდაჭერის და უნდა დაწინაურდეს პროგრამების ხარისხობრივი მახასიათებლის მიმართულებით.

2027 წლისთვის Youthpass-ი, როგორც აღიარების ინსტრუმენტი უნდა ასახავდეს შემდეგ მახასიათებლებს:

- განვითარებული Youthpass-ის ძირითადი ყურადღება მიმართული იქნება ორი პროგრამის ფარგლებში არსებული ყველა სხვადასხვა ფორმატებსა და აქტივობებში მიღებული სწავლის რეფლექსიაზე, იდენტიფიცირებასა და დოკუმენტირებაზე. Youthpass-ის გამოყენების მოტივაცია უნდა გახდეს მონაწილეებისათვის დახმარების სურვილი, **რათა მათ შეძლონ საკუთარი სწავლის უკეთ გააზრება, მისი გამყარება, იდენტიფიცირება და დოკუმენტირება** და ამით პროექტების ხარისხის გაუმჯობესება.

- Erasmus+ ახალგაზრდების და ევროპის სოლიდარობის კორპუსის ყველა მონაწილე და მემკვიდრე პროგრამებს, კვლავ **ექნებათ უფლება** გაიარონ Youthpass-პროცედურა და მიიღონ დამადასტურებელი დოკუმენტაცია საკუთარი სწავლის შედეგების შესახებ. Youthpass-ი რჩება მომხმარებლებისთვის მოხალისეობრივად, რაც შეესაბამება არაფორმალური და ინფორმალური განათლების თავისებურებას. გარდა ამისა, Youthpass-ი უკეთესად ასახავს არაფორმალური და ინფორმალური განათლების ბუნებას, რადგან ის **პირველ პლანზე აყენებს მსწავლელის საჭიროებებს**, მაგალითად იმით, რომ მოსწავლეებს ერთად შეუძლიათ შექმნან საკუთარი ინდივიდუალური Youthpass-ის პროფილები. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდებისთვის პროცესი მარტივი უნდა დარჩეს, მომავალი მონაწილეების პროფილები, ახალგაზრდებს საკუთარი რეფლექსიის პროცესის და სხვადასხვა პროექტებში, რომლებშიც ჩართულნი იყვნენ, მიღებული სწავლის შედეგების აღწერის მეტი კონტროლის შესაძლებლობებს მისცემს.

- Youthpass-ის დანერგვის **ცენტრალური ელემენტი და საწყისი წერტილი** იქნება - უფრო მეტად, ვიდრე ადრე - **რეფლექსიის პროცესი**, რომელიც ამაღლებს სხვადასხვა ეტაპებზე პროექტებში ჩართულობის შედეგად მიღებული სწავლის შედეგების გაცნობიერებას. Youthpass-ი არა მხოლოდ რეფლექსიის ციფრული ინსტრუმენტის შესთავაზებს მომხმარებლებს, არამედ სხვა მხარდამჭერ ინსტრუმენტებსაც, რომლებიც მსგავსი პროცესის შემუშავებას შეუწყობენ ხელს პროექტის სპეციფიკიდან და სამიზნე ჯგუფების საჭიროებებიდან გამომდინარე.

- განვითარებული Youthpass-ი უკეთესად **გააძლიერებს მთელ სასწავლო პროცესს, რომელიც დაკავშირებულია მხარდაჭერილ პროექტებთან**, და მოიცავს მომზადებასა და შემდგომ საქმიანობას, და ასევე შესაბამის შემთხვევებში ერთი პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებებს. **Youthpass-ის სტრუქტურა იქნება მოქნილი და შესაბამისობაში იქნება პროექტების მრავალფეროვნებასთან და აქტივობების სახეობებთან**, რომლებიც მხარდაჭერილია ახალგაზრდული პროგრამებით.

- Youthpass-ის, როგორც სამომავლო ინსტრუმენტის, აწყობა, შესაძლებელს გახდის მონაწილეების ონლაინ პროფილებში შეაგროვოს და ასახოს მათ მიერ ახალგაზრდული პროგრამებით მხარდაჭერილი საგანმანათლებლო საქმიანობის მიმდინარეობისას შეძენილი **კომპეტენციების მოკლე აღწერა**. მოსალოდნელია, რომ ეს შესაძლებელს გახდის მათთვის საკუთარი კომპეტენციები სხვა პლატფორმებს დაუკავშირონ, მაგალითად Europass ან სხვა პროფესიულ პლატფორმებს, ინსტრუმენტებს, რაც გაზრდის Youthpass-ის მფლობელის უპირატესობას მომავალში მის საგანმანათლებლო ან პროფესიულ გზაზე.

- **ახალგაზრდული მუშაკებისა და ტრენერების საჭიროებები, მათი როგორც მოსწავლეების და Youthpass-ის მფლობელების შესაძლებლობები** ორი პროგრამის და მათ მიღმა კონტექსტში ყურადღებით განიხილება. Youthpass-ი ამ სამიზნე ჯგუფს შესთავაზებს რელევანტური აღიარების ინსტრუმენტს, შესაბამისი კომპეტენციების ჩარჩოთი და შეცვლილი ბრენდინგით, რომელიც უკეთესად ასახავს ახალგაზრდული მუშაკების პროფესიონალური განვითარების ხასიათს.

- სწავლის შედეგების აღწერა Youthpass-ის სისტემაში მომავალშიც **ევროპის უწყვეტი განათლების საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოსთან** იქნება შესაბამისობაში. მოხდება გადაწყვეტების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ შეძენილი კომპეტენციების რეფლექსიისა და დოკუმენტირების ეფექტურ მხარდაჭერას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ კომპეტენციებს, რომლებიც შედარებით ხშირად ვითარდება ახალგაზრდული და მოხალისეობრივი საქმიანობის კონტექსტში. ამ გადაწყვეტებზე მუშაობა მოხდება უკვე არსებული (უფრო დეტალური) კომპეტენციების ჩარჩოს გამოყენებით, როგორიცაა LifEComp. ახალგაზრდული მუშაკების კომპეტენციების განვითარების აღსაწერად, ევროპის სასწავლო სტრატეგიის ფარგლებში შექმნილი **კომპეტენციის მოდელები** შესაფერისი საფუძველი იქნება.

- Youthpass-ი იქნება **თანამედროვე აღიარების ინსტრუმენტი**, რომელიც ასახავს ტექნოლოგიების განვითარების დონეს. ეს აწევს მის **მომხმარებელზე ორიენტირებულებისა და მომხიბვლელობის დონეს** მოხმარებისათვის და სხვა, კერძოდ ევროკომისიის სისტემებთან, ურთიერთკავშირის შესაძლებლობას მოგვცემს.

- Youthpass-ი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს **ნაკლები შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერას**, რათა უზრუნველყოს, მათი სრული ჩართულობა არაფორმალური და ინფორმალური განათლების ღონისძიებებში და მიიღონ საკუთარი თავის განვითარების პოზიტიური ეფექტი სამომავლო გზებზე. Youthpass-ის ყველა სამომავლო შემუშავების პროცესები ხელს შეუწყობს Youthpass-ის ინსტრუმენტის და პროცესის (პროცესების) **მისაწვდომობას და ინკლუზიურობას**. ეს მოიცავს ვებ ინსტრუმენტების და ონლაინ პუბლიკაციების მისაწვდომობის გაუმჯობესებას სპეციალური საჭიროების მქონე /ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. მაქსიმალური ყურადღება დაეთმობა იმას, რომ ეს ინსტრუმენტი Youthpass-ის ყველა სამიზნე ჯგუფისთვის მარტივად გამოსაყენებელი გახდეს.

- ის გააგრძელებს **მრავალენოვან** ინსტრუმენტად ყოფნას, რომელიც უზრუნველყოფს ონლაინ ინსტრუმენტის, სერტიფიკატების და სხვა დამატებითი მასალების ხარისხიან თარგმანს.

- ის ასევე განაგრძობს Youthpass-ის პროგრამების ფარგლებში **განხორციელებული ონლაინ აქტივობების მხარდაჭერას**,, მათ შორის იქნება თვითსწავლისთვის შემუშავებული საშუალებებიც. პრაქტიკოსთა თემთან ჩატარდება კონსულტაციები აღიარების ინსტრუმენტის შესაძლო სპეციალური ფორმატის საჭიროებასთან დაკავშირებით.

8 სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია Youthpass-ის სტრატეგიის სამიზნე ჯგუფების მიმოხილვა, ძირითადი ზომების გათვალისწინებით.

ახალგაზრდები

- Youthpass ინსტრუმენტის სამიზნე ჯგუფი
- ინფორმირება ახალგაზრდული მუშაკების მეშვეობით
- ასევე პირდაპირი, საინტერესო და მამოტივირებელი ინფორმირება Youthpass-ის ვებგვერდისა და სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით.

ახალგაზრდული მუშაკები

- Youthpass ინსტრუმენტის სამიზნე ჯგუფი: აუცილებელია სპეციალური მომზადება
- ინფორმირება ახალგაზრდულ პროექტებში სწავლის ბუნებასა და ღირებულებაზე და Youthpass-ის შესაძლებლობებზე ამ მიმართულებით.
- ინფორმაცია, ხელმძღვანელობა და სასწავლო მასალები იმის შესახებ, თუ როგორ შევუწყოთ ხელი სწავლას ახალგაზრდულ საქმიანობის აქტივობებში.
- ინფორმაცია შესაბამისი პოლიტიკური პროცესების შესახებ ევროპულ დონეზე.
- ინსტრუმენტები, რომლებიც დაეხმარება მონაწილეებს Youthpass-ის არსის გაგებაში.

ტრენერები და გამავრცელებლები

- Youthpass ინსტრუმენტის სამიზნე ჯგუფი: აუცილებელია სპეციალური მომზადება
- ინფორმაციული და საგანმანათლებლო მხარდაჭერა იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პროექტებში სწავლის ბუნებასა და ღირებულებასთან და Youthpass-ის შესაძლებლობებთან ამ მიმართულებით.
- Youthpass-ის პროცესის ინტეგრირების მხარდაჭერა სხვადასხვა ტრენინგებისა და საინფორმაციო აქტივობების გზით.
- ინფორმაცია შესაბამისი პოლიტიკური პროცესების შესახებ ევროპულ დონეზე.
- ინსტრუმენტები, რომლებიც დაეხმარება მონაწილეებს Youthpass-ის არსის გაგებაში.

ახალგაზრდულ საქმიანობაზე მომუშავე ორგანიზაციები

- მათ საქმიანობაში სწავლის ღირებულების გასაძლიერებლად შთაგონება, ინფორმირება და შესაძლებლობების განვითარება.
- პრობლემის იმგვარი გზით გადაჭრა, რომელიც უზრუნველყოფს მათი მიდგომების აღიარებას და ხილვადობას, იმისათვის რომ სწავლას მიენიჭოს სათანადო ღირებულება ახალგაზრდულ საქმიანობაში.
- ინფორმაცია შესაბამისი პოლიტიკური პროცესების შესახებ ევროპულ დონეზე.

ეროვნული სააგენტოები და SALTO რესურს ცენტრები

- ახალგაზრდული და სოლიდარობის პროგრამების ფარგლებში მიღებული სწავლის ღირებულების შესახებ ცნობიერების ამაღლება ეროვნული სააგენტოების ყველა თანამშრომელში
- საინფორმაციო, მხარდამჭერი და ხილვადობის მასალები, რომლებიც შეიძლება მოერგოს ეროვნულ კონტექსტებს.
- იმ საგანმანათლებლო ზომების (მაგ. ტრენინგის) განვითარებისა და განხორციელების მხარდაჭერა, რომლებიც დაფუძნებულია მათი კონტექსტის საჭიროებებზე.
- მხარდაჭერა ეროვნულ დონეზე აღიარების განვითარებისთვის
- ინფორმაცია შესაბამისი პოლიტიკური პროცესების შესახებ ევროპულ დონეზე.

სახელისუფლებო ორგანოები. მმართველი ორგანოები მათ შორის ევროკომისია

- ინფორმაცია ევროკავშირის ახალგაზრდული პროგრამების გამოცდილებებისა და შედეგების შესახებ სწავლის/განათლების, აღიარებისა Youthpass-თან მიმართებაში
- აღიარებისა და ვალიდაციის პრაქტიკების და პროცედურების შესახებ გამართულ დისკუსიებში წვლილის შეტანა.



9 ინსტრუმენტები სტრატეგიის განხორციელებისათვის

სტრატეგიის განხორციელების **მთავარი ინსტრუმენტია** Youthpass-ის **მრავალენოვანი ვებგვერდი და ტექნიკური ინსტრუმენტი**, რომელიც შედგება მომხმარებელზე ორიენტირებული გარემოთი და Youthpass-ის სწავლის მონაცემების დოკუმენტირებისა და სერტიფიკატების გაცემის მონაცემთა ბაზით. Youthpass-ის ვებგვერდი ასევე წარმოადგენს სახელმძღვანელო და საგანმანათლებლო მასალების ძირითად წყაროსა და არხს Youthpass-თან დაკავშირებული სიახლეებისა და ინფორმაციის გასაგებად.

სტრატეგიის განსახორციელებლად გათვალისწინებული დამატებითი ინსტრუმენტებია:

1

ინფორმაციისა და ხილვადობისთვის

- ევროკომისიის საკომუნიკაციო სტრატეგია ახალგაზრდული პროგრამებისთვის, რომლებიც მოიცავს საკვანძო პროგრამულ დოკუმენტებს, ისეთებს, როგორიცაა ორი ახალგაზრდული პროგრამის პროგრამების სახელმძღვანელო;
- ევროპის ახალგაზრდული პორტალი [EU Youth Portal], ერთგვარი კარი ახალგაზრდებისთვის, რომელიც აღებს ახალგაზრდული პროგრამებისა და საინფორმაციო არხების კარს;
- Youthpass-ის საკომუნიკაციო კონცეფცია, რომელიც აღწერს აუცილებელ საკომუნიკაციო ზომებსა და არხებს, მათ შორის სოციალურ მედიას;
- პუბლიკაციების Youthpass-ისა და ახალგაზრდულ საქმიანობაში სწავლის აღიარების შესახებ (მათ შორის, დამატებითი მასალების, ლიფლეტების, ესეების, კვლევის ანგარიშების და ა.შ.);
- რეგულარულ პოლიტიკის დოკუმენტებს;
- SALTO-YOUTH ქსელის ნიუსლეთერები და ვებგვერდი;
- Erasmus+ ახალგაზრდებთან და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამებთან დაკავშირებული სიახლეები და საინფორმაციო არხები, ევროპულ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე, კერძოდ, ეროვნული სააგენტოების საინფორმაციო არხები;
- სხვა ევროპული ღონისძიებები და დაინტერესებული მხარეების პლატფორმები, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდებთან, არაფორმალურ და ინფორმალურ განათლებასთან აღიარებასა და ვალიდაციასთან.

2

საგანმანათლებლო საქმიანობისა და თანამშრომლობისთვის

ევროკავშირის ახალგაზრდული პროგრამების ეროვნული სააგენტოების TCA/NET ჩარჩო მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემდეგი აქტივობების განხორციელებაში:

- პირისპირ,შერეულიდაონლაინსასწავლო/ტრენინგაქტივობებიბენეფიციარებისთვის,გამავრცელებლებისთვის და პარტნიორებისთვის;
- აქტივობების სერიები (სემინარები, ვორქშოპები, სამუშაო ჯგუფები ან სხვა ფორმატები) რათა შესაძლებელი გახდეს გაცვლის, სწავლა და თანამშრომლობა პრაქტიკოსთა თემის ფარგლებში - რაც განისაზღვრება თემთან ერთად;
- აქტივობები (კონფერენციები და ა.შ.) რომელიც ეროვნულ დონეზე ხელს უწყობს პროცესების ორმხრივ სწავლას და განვითარებას;
- ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებთან პირისპირ და ონლაინ შეხვედრები რეგულარული და ერთჯერადი მხარდაჭერის გასაწევად;
- ეროვნულ სააგენტოს, გამავრცელებლებსა და ტრენერებს შორის თანამშრომლობა ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე;
- SALTO-YOUTH ქსელთან თანამშრომლობის აქტივობები.

3

ცოდნის დაგროვებისთვის

- მონიტორინგის კონცეფცია Youthpass-ის და მისი ზომებისთვის, მათ შორის Youthpass-ის განვითარების ყოველწლიური მიმოხილვა;
- Youthpass-ის მონაცემთა ბაზა (ხელმისაწვდომია: youthpass.eu);
- კვლევის ინსტრუმენტები, რომლებიც შემუშავდა RAY ჩარჩოსა და სხვა კვლევით პარტნიორებთან თანამშრომლობის ფარგლებში.

10 განმახორციელებელი აქტორები

გამომდინარეიქიდან,რომYouthpass-იმიმაგრებულია ევროკავშირის ახალგაზრდულ პროგრამებზე, ამ სტრატეგიის ცენტრალური მაკოორდინირებელი მხარეები არიან **ევროკომისია და SALTO რესურს ცენტრი**, რომელიც სტრატეგიის ძირითადი განმახორციელებელია ევროპის დონეზე. SALTO -YOUTH თემატური რესურს ცენტრების მანდატის თანახმად, რომელიც 2019 წელს მიიღეს, რესურს ცენტრები არიან პასუხისმგებელნი Erasmus+ პროექტების ხარისხისა და შედეგიანობის გაუმჯობესებაზე ახალგაზრდულ სფეროში. ამით, ისინი ერთგვარი ცოდნის და ექსპერტების ჰაბების როლს ასრულებენ, რომელიც ევროკავშირის ახალგაზრდული პროგრამების შედეგებს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებასთან აკავშირებს.

თანამშრომლობის პარტნიორთა რიგები მოიცავს **ეროვნულ სააგენტოებს და SALTO -YOUTH რესურს ცენტრებს**, რომლებიც ევროკავშირის ახალგაზრდულ პროგრამებს ახორციელებენ. მათ სთავაზობენ სტრატეგიის გამოყენებას საქმიანობის სამ სფეროში გაწერილი ღონისძიებების ფარგლებში, როგორც სახელმძღვანელო და შთაგონება ეროვნულ/ რეგიონალურ დონეზე სტრატეგიული ქმედებების განხორციელებისას. კერძოდ, მათ მოუწოდებენ დაგეგმონ ზომები ახალგაზრდული საქმიანობის სწავლის ღირებულების შესახებ ხილვადობისა და აღიარების გასაზრდელად, და ასევე Youthpass-ის, როგორც ინდივიდუალურ დონეზე ამ ღირებულების გამომხატველი სქემის დოკუმენტირების შესახებ. მათ საკუთარი წვლილი შეაქვთ Youthpass-ის განვითარებაში იმ ცოდნისა და გამოცდილების

გამოყენებით, რომელიც პროგრამის ეროვნულ დონეზე რეალიზაციისას მიიღეს. გარდა ამისა, ის, თუ როგორ ნერგავენ ეროვნული სააგენტოები და SALTO საკუთარ საქმიანობაში Youthpass-ს და როგორ ხსნიან მის არსს, ძლიერ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ Youthpass-ს ბენეფიციარები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ეროვნული სააგენტოებისა და SALTO-ს რეგიონალური ცენტრების მხარდაჭერა აუცილებელია იმისათვის, რომ Youthpass-ის სერტიფიკატები და სხვა მასალები მრავალენოვანი იყოს. SALTO ტრენინგებისა და თანამშრომლობის რესურს ცენტრი მიისწრაფვის იმისაკენ, რომ მუდმივი მხარდაჭერა აღმოუჩინოს ეროვნული სააგენტოების ქსელს აღიარებისა და ვალიდაციის მიმართულებით საქმიანობაში რელევანტური მასალების, თანამშრომლობის ღონისძიებების და სხვა ეროვნული პროცესების მხარდამჭერით, სადაც ეს რელევანტურია და ამის შესაძლებლობა არსებობს.

გარდა ამისა, SALTO-YOUTH რესურს ცენტრები სხვა პროგრამულ სტრატეგიებზეც მუშაობენ, კერძოდ, ევროპის ტრენინგ/სასწავლო სტრატეგიაზე, ინკლუზიისა და მრავალფეროვნების სტრატეგიაზე, და ახალგაზრდების მონაწილეობის სტრატეგიაზე. ისინი ამ დოკუმენტთან დაკავშირებულია იმ კუთხით, რომ აძლიერებენ ახალგაზრდული პროგრამების ხარისხს მათი საკუთარი პერსპექტივიდან. აუცილებელია ამ სტრატეგიებთან სინერგიის გაძლიერება, ისევე როგორც SALTO-YOUTH რესურს ცენტრის მიერ განხორციელებული სხვა ფუნქციების, იმისათვის რომ მოხდეს Youthpass-ის კონცეფციის სხვადასხვა ასპექტის შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფა SALTO-ს სპეციფიკურ სამიზნე ჯგუფებთან მიმართებაში.

იმ ახალგაზრდული მუშაკების, ტრენერების და სხვა გამავრცელებლების ცნობიერებასა და რწმენას, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ევროპის ახალგაზრდული პროგრამების კონტექსტში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს Youthpass-ის პრაქტიკული და ხარისხიანი დანერგვის პროცესში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს მონაწილეებზე მის გავლენას. მნიშვნელოვანია, რომ მათ საკუთარი ღონისძიებების/აქტივობების მონაწილეებამდე მიიტანონ სწავლის შესახებ რეფლექსიისა და დოკუმენტირების მნიშვნელობა და საქმიანობის ხასიათის მიუხედავად ხელი შეუწყონ ამ პროცესში.

სტრატეგიაში აღწერილი ზოგიერთი ზომა, მოითხოვს **სხვა დაინტერესებულ** თანამშრომლობას, ისეთებთან, როგორიცაა ახალგაზრდულ სფეროში აქტიურად ჩართული ორგანიზაციები - პრაქტიკოსთა თემი - ადგილობრივი/ რეგიონალური/ ეროვნული ხელისუფლება და ევროპის სამუშაო ჯგუფები, პლატფორმები და ინსტიტუციები, იმისათვის რომ მოხდეს შესაბამისი პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩარჩოების და პირობებს შორის მოხდეს კავშირის გაბმა. იგივე ჯგუფი მოიცავს მკვლევარებს და დაინტერესებულ მხარეებს სხვა სექტორებიდან, ისეთების, როგორიცაა განათლება და დასაქმება, რომლებიც თავის მხრივ დაინტერესებულნი არიან არაფორმალურ და ინფორმალურ კონტექსტში მიღებული ცოდნის აღიარებითა და ვალიდაციით.

11 მართვა

Youthpass-ის სტრატეგია ხელმძღვანელობს/მართავს SALTO ტრენინგებისა და თანამშრომლობის რესურს ცენტრს, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებელია Youthpass-ის განხორციელებაზე ევროკომისიასთან მჭიდროთანამშრომლობითადასხვადაინტერესებული მხარეების მხარდაჭერის მეშვეობით.

Youthpass-ის სტრატეგიასთან მიმართებით ევროკომისია ორმაგ მისიას ასრულებს. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამების შესრულებისას, ისეთების როგორიცაა Erasmus+ და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამები, კომისია მიისწრაფვის ყველა მთავარი აქტორის საჭირო ინსტრუმენტებით აღჭურვისკენ, რათა მოხდეს ხარისხიანი აღსრულება. კომისია ასევე გადამწყვეტ როლს ასრულებს პოლიტიკის თანამშრომლობის ჩარჩო პროგრამებთან, როგორიცაა ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგია, რომელშიც ხაზგასმულია არაფორმალური და ინფორმალური განათლების შედეგების აღიარების საჭიროება ახალგაზრდული

საქმიანობის ფარგლებში, რისი ხელშეწყობაც Youthpass-ის სტრატეგიას შეუძლია.

სტრატეგიის მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანო, როდესაც საუბარი სტრატეგიაზეა, არის Youthpass-ის მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია ინსტიტუციური და დამოუკიდებელი ექსპერტებით. მიჩნეულია, რომ ისინი აკონტროლებენ Youthpass-ის სტრატეგიის აღსრულებას და სამწლიან სამოქმედო გეგმას და საჭიროების შემთხვევაში მათ კონტექსტში შეიტანენ წვლილს მის განვითარებაში. Youthpass-ის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა რეგულარულად განიხილება.

რაც შეეხება ეროვნულ სააგენტოებში Youthpass-ის ოფიცრებს, ეროვნული სააგენტოების ფარგლებში გათვალისწინებულია ჰორიზონტალური როლი იმ კოლეგებისთვის, რომლებიც გადასცემენ ინფორმაციას Youthpass-ის შესახებ დაინტერესებული მხარეებისგან და დაინტერესებული მხარეებისთვის მათსავე ქვეყნებში, ეხმარებიან Youthpass-თან დაკავშირებული მასალების გადათარგმნაში და სტრატეგიულ მხარდაჭერას უწევენ Youthpass-ის სტრატეგიის ეროვნულ და სადაც შესაძლებელია ევროპულ დონეზე.
სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა თანაშექმნილია ეროვნული სააგენტოებისა და SALTO ტრენინგების და თანამშრომლობის რესურს ცენტრის მიერ. აუცილებელია საჭირო დროის გამოყოფა იმისათვის რომ Youthpass-ის ოფიცრებმა შეძლონ ამ ამოცანების შესრულება. მათი საქმიანობა მხარდაჭერილი იქნება რეგულარული ონლაინ და პირისპირ შეხვედრებით SALTO ტრენინგების და თანამშრომლობის რესურს ცენტრსა და ევროკომისიის წარმომადგენლებთან.

SALTO-ს მანდატის თანახმად, SALTO-YOUTH რესურს ცენტრებისა და ევროკომისიის შორის რეგულარული შეხვედრები ხელს შეუწყობს სტრატეგიის განხორციელებას.

ვადები: Youthpass-ის სტრატეგია ემსახურება Youthpass-ის გარშემო საქმიანობის მართვას, ძირითადად, Erasmus+ და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამებისა და ევროკავშირის მიმდინარე ახალგაზრდული სტრატეგიის განხორციელებისას, რომელიც 2027 წლის ბოლომდე გაგრძელდება. სტრატეგიასთან დაკავშირებული საქმიანობა ორგანიზებული იქნება სამწლიანი სამოქმედო გეგმების ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრავს საერთო მიზნებს და პროცესებს შესაბამის პერიოდებზე, ასევე მოკლე ყოველწლიურ სამუშაო გეგმებს, რომლებში უფრო კონკრეტული ზომები იქნება მითითებული.

უკანასკნელი სამწლიანი სამოქმედო გეგმის რეალიზებისას მოხდება სტრატეგიის გადახედვა ქვემოთ მოყვანილი მონიტორინგისა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით.

12

მონიტორინგი, შეფასება და კვლევა

1

სტრატეგიის მონიტორინგის ინდიკატორები

Youthpass-ის სტრატეგიისა და ინსტრუმენტების შემუშავების და განხორციელების მონიტორინგის მიზნით გთავაზობთ შემდეგ ზოგად ინდიკატორებს:

- **Youthpass-ის, როგორც ინსტრუმენტის**, ტექნიკური და კონცეპტუალური **განვითარება** მიმდინარე სტრატეგიის შესაბამისად. ეს მოიცავს გამოკითხვების შედეგებს ან სხვა შეფასების ზომებს ამ განვითარების გავლენის გასაზომად;
- სტრატეგიაში აღწერილი **სხვა ინიციატივებისა და პროცესების განხორციელება**, მაგალითად, საგანმანათლებლო ზომები ან აღიარების შესახებ დებატებში მონაწილეობა SALTO ტრენინგების და თანამშრომლობის რესურს ცენტრისა და სტრატეგიის სხვა მონაწილეებთან ერთად;
- **Youthpass-ის გამოყენება:** როგორც ზოგადად, ასევე აქტივობების სხვადასხვა სახეობების ფარგლებში, რომლებიც მხარდაჭერილია Erasmus+ ახალგაზრდები და ევროპის სოლიდარობის კორპუსის მიერ. მიზანია - საქმიანობის ყველა მიმართულებით Youthpass-ის უფრო ფართო და დაბალანსებული გამოყენება. Youthpass-ის სტატისტიკა მოწოდებული იქნება Youthpass-ის 2018 წელს შემუშავებული მონიტორინგის კონცეფციის თანახმად;
- **Youthpass-ის გამოყენება სხვადასხვა მონაწილე ქვეყნებში**. მიზანია Youthpass-ის უფრო ფართე და დაბალანსებული გამოყენების მიღწევა სხვადასხვა ქვეყნებში;
- **Youthpass-ის საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოცვა**, კერძოდ, Youthpass-თან დაკავშირებული სიახლეები, რომლებიც ვრცელდება SALTO-ს საინფორმაციო ბარათების მეშვეობით; Youthpass-ის ვებგვერდის საშუალებით მასშტაბის გაზრდა; SALTO ტრენინგებისა და თანამშრომლობის არხების მეშვეობით მოცულობის მასშტაბის გაზრდა;
- **ონლაინ მხარდამჭერი ღონისძიებების მიღწევა:** ონლაინ სასწავლო ღონისძიებებში მონაწილეობა, ონლაინ პუბლიკაციების ჩამოტვირთვა.
- **Youthpass სერტიფიკატების მისაწვდომობა სხვადასხვა ევროპულ ენებზე**, ისევე როგორც სხვა დამხმარე მასალების ნათარგმნი ვერსიები.

2

შეფასება

აღნიშნული სტრატეგიის გავლენის შეფასებას საფუძვლად სამწლიანი სამოქმედო გეგმების ანგარიშები ედება, კერძოდ ამ გეგმებში აღწერილი მიზნების და ეტაპების მიღწევას მიექცევა ყურადღება. ამ ანგარიშების ფარგლებში, ზემოაღნიშნული მაჩვენებლების გარდა, შესაძლოა განიხილოს ეროვნული სააგენტოების მიერ განხორციელებული გამოკითხვები ეროვნულ დონეზე არსებული ცვლილებების, ძალისხმევისა და გამოწვევების შესწავლის მიზნით.

სტრატეგიის გავლენის შესწავლის გარდა, მისი განხორციელება შესაძლოა მხარდაჭერილი იქნეს შეფასებითა და შესაძლო სამომავლო გაუმჯობესებით სტრატეგიის ძირითადი მონაწილეების საქმიანობის შედეგად, კერძოდ, SALTO ტრენინგების და თანამშრომლობის რესურს ცენტრის მიერ.

3

კვლევა

სტრატეგიის განხორციელების დაწყებიდან რამდენიმე წელიწადში აუცილებელია ზეგავლენის კვლევის ჩატარება, იმისათვის რომ მოხდეს Youthpass-ის განხორციელებისა და მისი გავლენის სიღრმისეული შესწავლა. მისი შედეგები იქნება მყარი საფუძველი შემდგომი რეფლექსიებისა და მოქმედებებისთვის. მეორე ზეგავლენის კვლევის ჩატარება შესაძლოა განიხილებოდეს სტრატეგიის განხორციელების პერიოდის დასასრულისკენ.

RAY რეგულარული მონიტორინგის კვლევები ღირებულ სამეცნიერო ინფორმაციას იძლევა Youthpass-ის შესახებ, ასევე ევროკავშირის ორი ახალგაზრდული პროგრამის სწავლისა და აღიარებასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ. რეგულარული კითხვარები შესაძლოა შეივსოს Youthpass-ისთვის აქტუალური თემებისადმი მიძღვნილი კვლევებით.

სამეცნიერო ინიციატივები ასევე საჭირო იქნება ზოგიერთი ამოცანისა და როლის შესასრულებლად, რომლებიცამ სტრატეგიაშია აღწერილი, კერძოდ, ახალგაზრდულ საქმიანობაში სწავლის არაფორმალური ბუნების კონცეპტუალიზაციისთვის.

13

სტრატეგიის განვითარება და სამადლობელი

Youthpass-ის სტრატეგია შემუშავდა SALTO ტრენინგებისა და თანამშრომლობის რესურს ცენტრის მიერ ევროკომისიასთან თანამშრომლობით. ეს მოიცავდა Youthpass-ის მრჩეველთა საბჭოსთან, ეროვნულს სააგენტოებთან და სხვა ახალგაზრდული საქმიანობის, მოხალისეობრივი საქმიანობის, არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარებისა და ვალიდაციის ექსპერტებთან კონსულტაციებს.

SALTO ტრენინგებისა და თანამშრომლობის რესურს ცენტრი გულითადად მადლიერია ყველა იმ ადამიანის, ვინც წვლილი შეიტანა ამ სტრატეგიის შემუშავებაში კონსულტაციების გზით. ვიმედოვნებთ, რომ ქვემოთ მოყვანილი კონტრიბუტორების სია სწორია; გთხოვთ მოგვიტევოთ თუ ვინმე გამოგვრჩა. მადლობას ვუხდით:

Adele Tinaburri, Alexandre Fonseca, Alice Dartout, Andrea Casamenti, Anita Silva, Annamaria Simeone, Annina Kurki, Antonella Rocchi, Barnabás Gulyás, Beata Pankowska, Christiane Westenhöfer, Daniele Nubile, Darko Markovic, Davide Dave Fumi, Denise De Stena, Deniss Jershov, Dita Čudare, Elisa Scardoni, Enrico Elefante, Estelle Crochu, Evelina Kvartunaite, Gabriela Salgado, Gabriella Civico, Giséle Evrard Markovic, Gry Nesse, Hans-Georg Wicke, Heiki Viisimaa, Igor Spetič, Ilaria Mardocco, Ildikó Gulácsi, Imre Töviskes, José Carlos Matos Martins, Judit Lantai, Karin Persdotter, Karmen Murn, Laura Liachovič, Lenka Havrdová, Lidia Greco, Mafalda Morganti, Manfred Zentner, Mara Arvai, Marietta Balazs, Mark Taylor, Matija Blaće, Meta Brečić-Ločičnik, Michala Velingerová, Michelangelo Belletti, Milena Butt-Posnik, Milos Popic Svitac, Nerijus Kriauciunas, Neslihan Noyan, Nik Paddison, Nikolina Garaca, Óli Örn Atlason, Paul Kloostermann, Pauline Boivin, Petra Jazbec, Rita Bergstein, Roberta Lanzalaco, Ronja Höfers, Salvi Greco, Sara Bertoli, Sari Höylä, Sergio Andrea Rilievo, Sérgio Gonçalves, Simona Molari, Snezana Baclija Knoch, Stanislavs Babins, Suzanne Kavanagh, Tanya Basarab, Valerija Posavec, Virginia Hernandez, Vojislava Tomic, Yunus Denizli, Ziga Magjar.

სტრატეგია შემუშავებული კრისტინა პერნიტსის, ჰ. ედა ბაკირისა და ჰანს-გეორგ ვიკეს მიერ SALTO ტრენინგებისა და თანამშრომლობის რესურს ცენტრის მიერ @ JUGEND für Europa, ევროკომისიის EAC/B3 განყოფილების თანამშრორმლების მხარდაჭერით.

Youthpass

რედაქცია/გამომცემლობა

გამოცემულია
JUGEND für Europa/
SALTO Training & Cooperation Resource Centre,
Godesberger Allee 142 – 148, 53175 Bonn, Germany
www.salto-youth.net

პასუხისმგებელი პუბლიკაციაზე
Hans-Georg Wicke

პუბლიკაციის კოორდინატორი
Kristiina Pernits, → pernits@jfemail.de

რედაქტორი/კორექტორი
Karin Walker, Bonn

ილუსტრაციები და ყდა
Jörg and Mandy Krühne, → www.kreativraum.de
Image source, → www.unsplash.de

იურიდიული წარმომადგენელი
IJAB – International Youth Service of the Federal Republic of Germany

სტრატეგია 2021 წელს გამოქვეყნდა. აღნიშნული პუბლიკაცია თანადაფინანსებულია ევროკავშირის Erasmus+ და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამების ფარგლებში. ევროკომისია არ არის პასუხისმგებელი აღნიშნულ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაციის ნებისმიერი სახით გამოყენებაზე.

SALTO ტრენინგებისა და თანამშრომლობის რესურს ცენტრის მასპინძელია JUGEND für Europa, რომელიც მუშაობს ფედერალური სამინისტროს მითითებით ოჯახის, ხანდაზმული პირების, ქალებისა და ახალგაზრდობის [BMFSFJ] და ასევე ევროკომისიის საკითხებზე.

ქართული თარგმანი

ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის დახმარებით და თანადაფინანსებულია ევროკავშირისა და ლიეტუვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ცენტრალური პროექტების მართვის სააგენტო და იგი აუცილებლად არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

თარგმანი

ანიკა ტიზლიარიშვილი

ტექსტის რედაქტირება

ანა კაციაშვილი

ევროკავშირი
საქართველოსთვის

JUGEND
für Europa

Bundesministerium
für Familie, Senioren, Frauen
und Jugend

CPVA
Central project
management
agency

MINISTRY
OF FOREIGN AFFAIRS
REPUBLIC OF LITHUANIA

LTAID

SALTO
EASTERN EUROPE
& CAUCASUS

9 783982 689777